თბილისის ამბოხება

ანუ

დიდი ბუნტი 1865 წ.

პოეტი გრ. ორბელიანი და ნიკ. ჩავჩავაძე

ზ. ჭიჭინაძისა

1 ეე/12

გამოცემული დუბ. [illegible] ავის მიერ

ფინ არ გაიცემა

[illegible] ბიბლიოთეკა

ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა

თბილისი

სტამბა „განათლება,“ ე. ლ. პიცნაგანი, გრიბოედოვის ქ. 10.

ამბოხება თბილისში ანუ დიდი ბუნტი

1865 წ.

ამ ამბოხების დრო შორს არ არის, მაგრამ ჩვენში იგი დღეს ბევრს აღარც-კი ახსოვს, თუმც დღესაც მის მომსწრენი ჯერ კიდევ ბევრნი არიან, მაგრამ არავის აინტერესებს მისი მოგონება.

მიზეზები ამ აყალ-მაყლის და ამბოხებისა იყო მრავალნაირი და უმთავრესად კი ხალხის გაჭირებულ ცხოვრებით გამოწვეული. აბა იმ დროს, ვინ რას იფიქრებდა, რომ 1865 წ. თბილისში, მოხდებოდა რამე იმ გვარი, რაც კი 1863 წ. პოლონეთში იქმნა და სხვაგანაც, ხან წინედ და ხან შემდეგ. ამ ამბოხებას რუსთა მთავრობის და მტრობის და ღალატის არაფერი ეცხო, თუმცა მაშინაც და ეხლაც რუსთა ჭეშმარიტი პატრიოტები ქართველებში ნაციონალურის მტრობის გარდა სხვას არაფერს ხედავდენ, ხოლო იმ დროის მეამბოხეთა შესახებ კი ამის თქმა არ შეიძლება, რადგანაც მეამბოხენი ხალხს რაზმავდენ თანამედროვე უწესოების, უსამართლობის და დიდი ხარჯების შესახებ და არა რუსეთის მთავრობის და რუსთა ქვეშევრდომ წინააღმდეგობის ხალხი წინააღმდეგ გამოვიდა ქალაქის გამგეობის არსებულ უწესოებისა და ამ უწესოების წარმომადგენელთა, ვინც უნდა ყოფილიყო იგი: რუსი, სომეხი, ქართველი თუ სხვა, ეს მეამბოხეთათვის სულ ერთი გახლდათ.

უმთარესად კი, 1860 წლის თბილისის მუშა და ხელოსანი ხალხი აღიარებდა მტრად მაშინდელ ქალაქის გამგეობას, ხარჯის ამკრეფავთ, ანუ მეშჩანსკი უპრავის უფროს და სხვა ასეთ პირთ. მართლაცა და მაშინდელი ხარჯთ გაწერა და განსაზღვრა და მისი მოკრეფა იყო უწესოებით გარემოცული, ამაზედ დარწმუნდეება ის, ვინც მაშინდელ ხალხის ცხოვრებას გაიცნობს, იმასაც დააკვირდება, თუ ხალხი დროის კვალად რა ზომის ხარჯს იხდიდა.

1855 წ. რუსეთ-ოსმალეთის ომს მეტად ცუდი შედეგი მოჰყვა, ერთის მხრით, თუ ცოტათი თვალი გაახილა და ბატონ-ყმობის გათავების, ანუ გადაგდების კითხვებმაც ცხოველი მიმართვა მიიღო, მეორეს მხრით, საერთოდ მთელს რუსეთში, კავკასიაში და კერძოთ საქართველოში მეტად დიდი სიძვირე ჩამოვარდა. ჩვენს საქართველოში, 1857 წ. პურის სიძვირე ისეთი იყო თურმე, რომ თფილისში ფუთი თქვილი 3 მანეთიდან 5 მანეთზედ ავიდა, თანამედროვე აღმწერის სიტყვით, დიდი შიმშილობის გამო ხალხში ჩამოვარდა დიდი გიჭირვება, ისეთი, რასაც საზღვარი არა ჰქონია. ასეთ უბედურების გამძლავრებას თურმე დიდათ უწყობდა ხელს ის ბუნებრივი მოვლენაც, რომ მთელს საქართველოში 1855 და ნამეტურ 1856 წ. მოსავალი თურმე სულ არ მოვიდა, თვით ღვინოც კი, რომელიც მაშინ ერთობ იაფი იყო, იგიც კი თუნგი 60—80 კაპ. ისყიდებოდა, ეს ვარემოებაც ნათლად აჩენს, რომ ღვინის სამშობლო საქართველოში 1850 წლებში თუ ისე მოეწყო აღებმიცემის საქმე, რომ ღვინო თუნგი 60 კაპ. ისყიდებოდა, ეს კიდევ სრული მოწმობა არის ხალხის ცხოვრების გაჭირებისა.

ჩვენ აქ ხალხს და მის გაჭირებას რომ ვახსენებთ, აქ ხალხათ იგულისხმება თფილისის მუშა და ხელოსანი ხალხი, წვრილი ვაჭრები. უმეტესად კი ხელოსანი ხალხი და მათთან ერთად ის გლეხ-კაცობაც, რომელნიც მ·თ ეხვივნენ გარს. მაშინდელი მუშათა და ხელოსანთა რიცხვი შესდგებოდა შემდეგის ხელოსნებისაგან: ხუროები, დურგლები, კალატოზები, მჭედლები, მექვაბენი, ხარაზები, ჭონები, დერეიკები, მეჩუსტე-მექოშენი, მათთან სხვა ასეთნიც. აგრეთვე წვრილ ვაჭრები, მეწვრილმანენი, ბაყლები, მექაიმეები, ფეხზედ მოვაჭრენი და ამათ გარდა ცოტად შეძლებული ვაჭრებიც.

უნდა ითქვას, უწესოებისა, სიძვირისა და უფრო გაძვირების არამც თუ მარტოდ ქალაქის ასეთი ხალხი იყო უკმაყოფილო და მოიდურ·ვი, არამედ ემდურებოდენ დროსა და გარემოებას შეძლებული მოქალაქენი, თავად-აზნაურნი და თვით მთავრობის მოხელენიც, ესენიც უკმაყოფილონი იყვნენ იმ დროთა სიძვირის და რაც ხანი გადიოდა, მათ მდურვა და შიში უფრო მეტად ძლიერდებოდა, ვინაიდგან ხალხში ლაპარაკობდენ თურმე სხვადასხვა ცნობებს და თან ამბობდენ, რომ ზოგი შემდეგ უყურეთ, რა იქნებაო, ერთი ათად გაძვირდება, საქმე ისე გახდება, რომ პური და ღვინო მამა-სისხლის ფასად იქცევაო. ფუთი პური 10 მ. გახდება, ასევე ხორცი, თევზი, ღვინო, არაყი და სხვანიო—ერთი სიტყვით, ყოველისფერი, რითაც კი ხალხი სცხოვრებს და სუნთქავსო,

ამისთანა დროს, ყველა, ვისაც კი მეტი ძალა და შნო ქონდა, ნავარდობდა თავისა სასარგებლოდ და მოქმედებდა ისე, რომ მეტი ეფცქვნა ხალხი, მეტი

ეთალა და ეს ანაფცქვენი, და ანათალი შეენახა თავისთვის, როცა სიძვირე ჩამოვარდებოდა, ერთი ათად აელო გაჭირებულთაგან. ასეთ საფცქვნელ ასპარეზზედ თავი თურმე იჩინეს იმ დროის პოლიციის პრისტავებმა, კვარტლებმა, დესეტნიკებმა და ასეთმა მოხელეებმა, მათთან ქალაქის გამგეობის მოხელეებმა, ნაცვალმა, ხარჯის მკრეფავმა, დამფასებლებმა და სხვათაც, რომელთაც კი ხალხთან საქმე ქონდათ, ხშირად მისვლა-მოსვლა და საქმის აღსრულებაც უხდებოდათ. ქალაქის გამგეობის დამფასებლებისაგან ხომ პირში სული ქონდათ ამოხდილი და ტყავი გამძვრალი.

ცარცვა-გლეჯას და ტაცობას ყველა კარგად ხედავდა, ყველა გრძნობდა, მაგრამ მშველელი კი არავინ იყო. მაინც მაშინ ისეთი ხანა იყო, ხალხის სიღარიბის დაკვირვებისთვის არავის სცალოდა, ყველა თავის თავისთვის იღვწოდა, ყველა თავისთვის ზრუნავდა, ვის რა საქმე ქონდა გაჭირვებულებთან და შეწუხებულებთან, მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ იმ დროსაც იყვნენ თითო-ოროლა ისეთი კეთილსინდისიერი პირნი, რომელნიც ხალხის ასეთ მდგომარეობას ყურადღებას აქცევდენ და თვით უმაღლესის მთავრობის წინაშეც კი ლაპარაკობდენ. ასეთი მოლაპარაკენი მოიპოვებოდნენ თვით უმაღლეს გვარის თავადის შვილთა ოჯახებში და თვით ისეთებშიაც, რომელთაც სამხედრო სამსახურში ადგილები ეჭირათ, ასეთსავე კაცთა რიცხვს ეკუთვნის თვით ერეკლე ალესანდრესძე ბაგრატიონი, ბატონიშვილი, ერეკლე მეფის შვილის შვილი.

იმ დროებაში, ერეკლე ბატონიშვილი სოლოლაკზედ ცხოვრობდა, თავის საკუთარ სახლებში, მის

ყუ-ამდისაც მიაღწია, რომ ქალაქის ნაცვალი მუშა და ხელოსან ხალხს ტყავს აძროობსო, პირში სულს ხუთავსო. მისის უსამართლობით დარბეულია მთელი ქალაქის შეუძლო ხალხი, რომელიც მის წინააღმდეგ ვერას აწყობსო, მისთვის სამართალის კარები დაკეტილიაო. სადაც კი იმ უსამართლობაზე იჩივლეს და უსამართლობა დაასაბუთეს, ყველგან მან თავი გაიმართლა და ნაცვლად პასუხის გებისა თვით მართალი მომჩივანნი ზოგი დააჯარიმეს, ზოგი დააპატიმრეს, ერთის სიტყვით ქალაქის ბატონიც იგია და პატრონიცაო.

ასეთ პირის თარეშობას დიდს ყურადღებას აქცევდა ერეკლე ბატონიშვილი. ბევრის ზედამხედველობის და ცნობების შეკრების შემდეგ, ერთ საღამოს ბატონიშვილმა ერს პატიოსანი ხალხის მჩაგრავი პირი თავის სახლში მიიწვია, მისვლის შემდეგ, ლაპარაკი ჩამოაგდეს ქალაქის ხალხზედ, ბატონიშვილმა მას ბევრი რამ უამბო მის უსამართლო მოქმედებაზე, მრავილ ნაირად ააფრთხილა, ამან ყურიც არ შეიბერტყა. მაშინ მათში ლაპარაკი გაცხარდა, უთხრა ბატონიშვილმა:—შენ ჩემი კაციც კი დაიჭირე და გალახეო. რას ნიშნავს ესაო! იმან თავისი საბუთი მოიყვანა და პასუხი მიუგო.

რახან ცემა არის და ცემა იყოსო. მიუსია, ამას ოთახში ბიჭები კარგა ლაზათიანათ მიატყეპინა, მერე ფაიტონს დაუძახეს, ჩაიტანეს ჩასვეს შიგ და უთხრეს: **„წადი და ღლეის შემდეგაც ინავარდე ეგრეო.** ამ ამბავმა დიდი აურზაური მოახდინა თდილისში და ბევრი უსამართლო მოქრთამე შეშინდა.

რას ჩადიოდა კიდევ იმ დროის ქალაქის გამგე-

ობა და საგლეხო სამართველო, ხარჯის ასაკრებად თფილის ქუჩებში მათი კაცები დადიოდნენ, თან სალდათები დაყავდათ, ვისაც ხარჯი არ ჰქონდა შეტანილი, იმას მიუცვიოდენ სახლში, ორ ორ სალდათს ჩაუყენებდენ, ვიდრე ხარჯს არ მისცემდენ, სალდათები სახლში იდგნენ ყარაულად. ესეთი წესები თფილისის ღარიბ-ღატაკ ხალხს დადათ სჩაგრავდა, დიდათ აწუხებდა და სტვირთამდა, ხშირად გაჭირვებისაგან არ იცოდენ, საით გაქცეულიყვნენ, საიდამ როგორ ეშოვნათ ფული და რა ლონისძიებით მოეშორებინათ სახლში მდგომი ყარაულ-სალდათები? ხშირად ასეთის გაჭირების დროს, სახლის ავეჯს გროშის ფასად ჰყიდნენ, რომ ხარჯი წაეღოთ გამგეობაში და ამ საშუალებით მოეცილებინათ სახლში ყარაულად მდგომი ჯარის კაცნი.

ასეთივე უკულმართი წესი ჰქონდა იმ დროის ქალაქის გამგეობის შესახებ იმერეთიდან მოსულ მოსამსახურეებს, მუშებსა და წვრილ ვაჭრებსა. ყველა ესეთი შემოსულნი წელიწადში იხდიდნენ მანათს. ამათ შესახებ გამგეობის კაცები ჯარის კაცებით დილით ადრიან დაიწყებდენ ქალაქის ქუჩებში სიარულს და ყველა გამვლელს და გამამვლელ იმერელს აჩერებდენ, მამათ ბილეთს სთხოვდენ; ვისაც არა ჰქონდა მანეთი, გამგეობაში გზავნიდნენ. მომხდარა ხშარად, რომ ერთ კაცს დღეს აუღია ბილეთი, მიუცია მანეთი, მაგრამ მერე ეს ბილეთი მას დაკარგვია, შემდეგ კიდეგ შეხვედრიან ამის, მოუთხოვნიათ ბილეთი მაგრამ მას არ ამოსჩენია; თუ ფული ჰქონია და კიდევ მიუცია ხომ კაი, თუ არა და მასაც გაგზავნიდნენ გამგეობაში, ვისაც ფულს ართმევდენ და ბილეთს აძლევდენ, შიგ მის გვარს და სახელს არა

სწერავდნენ. ესეთი უწესობა მათი ხელობა იყო. ხშირად ასეთის გარდასახადის გამო იჭერდენ უფუ-ლობის გამო გზაში საქმეზედ მიმავალ ბიჭებს, მო-სამსახურებად მუშებს და ამით მათ უფუჭებდენ საქმეს, მაგრამ ვინ იყო პატრონი?—არავინ. ვინც კი მაშინ იყვნენ გაუმაძღარი სვავები, ამ სვავობით გა-ისქელეს მუცლები, გაიბერეს ღიპი, გაიკეთეს სო-ლოლაკზედ კაი სახლ კარი და სადღეისოდ მათგან წარმოიშობა აწინდელ ჩარჩთა წოდება; ქალაქის მუ-შა, ხელოსნებს გარდა ესენი არც სოფლის მუშა გლეხ-კაცობას სტოვებდენ ტყავგაუმძვრალს, მაგა-ლითად სოფლებიდ ნ მათ თუ რამ შემოჰქონდათ ქა-ლაქში: შეშა, ნახშირი, ხილი და სხვა, ამაზდაც ხარჯს ახთევინებდენ; ასევე ტყავს აძრობდენ მეტივეებს.

პირველ წერილში მე ავღნიშნე იმდროინდელი მოქალაქეთა მდგომარეობა, რომელსაც შედეგათ მოჰ-ყვა ის ლაპარაკი და შიშანობაც, რომ დღეის შემ-დეგ ქალაქის და სოფლის გლეხ-კაცობას ქალაქის გამგეობა ვრთი ათად მოუმატებს გადასახადსო. რო-გორც ზემოთაც ვსთქვით, ჯერ იყო და 1857 წლის შემდეგ მოუსავლობამ და სიძვირემ გააწყალა ხალხი და გაალატაკა, 1860 წლიდინ ცოტათი სულით მო-ღონიერება იწყეს და ამას ცოტათი ბატონ-ყმობის მოსპობაც დაეხმარა, და ამავ დროს, რის წვალებით და ვაი-ვაგლახებში განვლილს ხალხს რაღაც რისხვა მოევლინა. უსამართლოდ მომქმედთა და ხარჯის მკრეფავთა საქმეების წყალობით ხალხში გავრცელდა სხვა დასხვა ხმა.

ტყავის გამძრობნი და სულის მეხდელი მოხე-ლენი აბობდნენ: ეს რა არის, დაიცადეთ პატარა,

ჩვენს თავს ბევრჯერ ინატრებთ, ჩვენს ძმობას, მეგობრობას, პურმარილს და დახმარეᲗას თქვენ ბევრჯერ მოიგონებთ, თქვენ ჩვენისთანა კაცები არ გინდათ, თქვენ გინდათ ისეთი კაცები, რომელებიც მათრახით ტყავს გაგაძრობენ და პირში სულს ამოგხდიანო. რა გგონიათ, მკითხველო, ამ გაიძვერულის ოსტატომით ეს გმირები თავს მართლაცა და ხალხის მოყვარეთ აცხადებდენ, თავის ცოდვებს, ქრთამებს და ყოველნაირ ბოროტებას ფარავდენ და ნაცვლად მათის ბოროტებისა და ზიზღისა ზალხში ღირსებას და ხმას უფრო იმაღლებდნენ. რაც იმათ საქმეები აქვსთ ჩადენილი, ყველას ვინ მოსთვლის, მარტო მაშინდელ თფილისის გამგეობის დამფასებელ კომისიის წევრნი იღებდნენ აუარებელ ქრთამებს, სადაც-კი ვინმე საწყალ კაცს 50 საჟენს მიწას მიუზომავდენ, იმას 15—20 მ. ქრთამს ართმევდნენ და თან ეუბნებოდნენ, რომ ჩვენ იაფათ გაგიკეთებთ საქაესო. ასეთი საქმეები მაშინ გამგეობაში დღეში ათასობით ხდებოდა და მათი წევრებიც იტენდნენ ჯიბეს საწყალი ხალხის ფულით და ან ანაშვლეპით იძენდნენ აუარებელს მამულებს. მთელი თფილისის ახლო-მახლო მამულები სულ ასეთის სვავებისაგან არის შეძენილი სულ ოხერ ფასად, ესევე ბოროტი პირები ხალხში ავრცვლებდენ სხვა და სხვა ნაირ ბოროტ ხმებს, მაგალითად ესენი ეუბნებოდნენ ხალხს.

გაძვირდა ცხოვრება, გაძვირდა, წახდა ყველაფერი, ჩვენ კიდევ რა გვიჭირს, მადლობა ღმერთს, ღვთის მოწყალებით ჩვენ კიდევ კარგათ ვსცხოვრობთ, საქმე მერე, შემდეგ იქნება, როცა, ვინ იცის, რაები არ მოხდება, როცა ხარჯებსაც კიდევ გაადიდებენ, ულათოდ ეს ყოველივე მოხდება და ყველაფერს მოე-

მატება ხარჯებიო. ახლა მათის, ცნობებით, ჩამოვთვალით მათსავე ქადაგებას.

1. სახლებს მოემატება ხარჯები, აიწერება ყველა სასახლე თვითეული ოთახით, მასთან ხარჯი დაედება ფანჯრებს ცალკე, კარებს ცალკე, ქუჩის ფულიც გამოერთმევა, ერთი სიტყვით, მოემატება იმდენი გადასახადი, რასაც სახლის პატრონები ვერ შესძლებენ.

2. ქალაქის ხიდებს უნდა დაადვან გადასახადი, უფულოთ არავის გაუშვებენ.

3. მტკვარს დაედება გადასახადი, თევზის დასაჭერად აღარავის გაუშვებენ; ამას გარდა აღარც წყლის ზიდვას გაუშვებენ უფულოდ, როგორც მეთულუგეებს, ისევე კოკით მზიდავებს ფულს გადაახდევინებენ. წყალს თულუხებით ზიდავდნენ და მუშები კოკებით ვისაც შეძლება არ ქონდა ფულის გადახდის, თვითონ ზიდავდა კოკებით წყალს ტკვრიდამ. ასეთ მზიდავ ღარიბებით სავსე იყო გარედ და შიგნით ავლაბარი, შავ-სოფელი, განჯის კარი. მთაწმინდა, ვერა, კუკია და სხვ.

4. სოფლებიდან ხალხი რომ შემოიტანს რასმე, იმასაც დაედება ხარჯი, მაგალითად, შეშას, ნახშირს, ხილეულობას, ქათმებს და სხვა ფრინველებს და სხვა. ეს გარემოება, რასკვირველია, გლეხ-კაცობას გაუჭირებს საქმეს, ისინი ხშარად ველარ შემოიტანენ სხვა და სხვა სანოვაგეს და ამიტომ მოხდება დიდი სიძვირე და უბედურებაო.

5. ძროხისა, თხისა და სხვა ასეთ მწველელ საქონელზედაც უნდა აძლიონ ხარჯი, ასევე განწესდე-

ბა ხარჯი საკლავ საქონელ ცხარზედ, ხარზედ და კამეჩზე. ღორზე, ერთის სიტყვით ყველა საკლავზე. თვით ტყის, ანუ გარეულ ნადირზედაც.

6. ხარჯ'ს დაადებენ ცხენებს, ვირებს, მომუშავე ხარებს, კამეჩს, ჯორს და სხვა; სათითაოდ ყველას წლიური გადასახადი ექნება.

7. ქათმებს დაედება ხარჯი, ასევე ბატებს, იხვებს, ინდაურებს, ყველა შინაურს და გარეულს ფრინველს, რომელსაც სახლში შეინახავენ.

8. ძაღლს, კატას და ამგვარებსაც დაედებათ წლიური გადასახადი საყოველთაოდ. ძაღლზე წელიწადში 7 მ., კატაზე 1 მან. ამ ხმების გამო 1863—64 და 65 წ. ბევრმა მოკლა თავისი ძაღლი და კატა, რადგან შიში ჰქონდათ ხარჯის დადებისა. ძაღლ'ს და კატებს სახლებიდამ იშორებდნენ.

9. ვინც ვერცხლის ქამარს და საათს ატარებს, იმასაც დაედება წლიური გადასახადი. ცოლის შერთვას, ანუ ქორწინებასაც დაედება ხარჯი: მღვდელი ჯვარს არ და'წერს, სანამ ხარჯს არ გადიხდის და ამის მოწმობას არ აიღებსო.

10. მიკიტნებს მოემარტებათ ხარჯი, ღვინო და არაყი ისე გაძვირდება, რომ საწყალი კაცი ველარაკი შესძლებს ყიდვას. თვით მიკიტნებიც გაკოტრდებიან და სულ დაკეტვენ დუქნებსო.

11. ასევე დაადებენ ხარჯს სხვა და სხვა საამქრო ხელოსნებს. ვინც რამდენ ქარგალს, მუშას და შე-

გირდს შეინახავს, ის წლიურათ იმდენ ხარჯს გადიხდისო.

12. სმელ-თევზეულობასაც დაედება ხარჯი.

13. დიდი გადასახადი დაედება წისქვილებს, პურის ფქვას, მეპურე და მეფურნეებს პურის ცხობაზედ და ამ მხრით პურიც ისე გაძვირდება, რომ, ვინ იცის, იქნება ხშირად გირვანქა აბაზად ღირდეს. საწყალი ღარიბი ხალხი სულ ვერ შესძლებს და ამიტომ იგინი ხშირად მშივრებიც უნდა იყვნენო.

14. ზაფხულის ხილსაც-კი დაედება ხარჯი, ყველა კინტოს თაბახს გადასახადი ექმნება, ასევე გოდრით ხილის მოტანას შემოდგომაზე სასწორთან, მაიდნებში მოტანილს ხილს, ფქვილს და სხვ. სასწორსაც მოემატება ფასი.

15. მოემატებათ გადასახადი ყასბებს საკლავზედ.

ბევრს კიდევ სხვა წვრილმან რამეების გადასახადს ამბობდენ. ჩვენ აქ ყველა არ მოგვყავ, ესეც კმარა. ცნობათა მომთხრობნი ლაპარაკობდენ, რომ ყველა ამას იქმს ქალაქის გამგეობა, ქალაქის თავი, ნაცვალი და სისი თანაშემწენიო. ხელმწიფე და „ველიკი კნიაზი“ ამაში არ ურევიან, იმათ ხალხის მხარე უჭირავსთ, საქმე ესენი არიან, ესენი აზარხებენ ყველაფერსაო, ხალხს ტყავს აძრობენ და თვით იდებენ ჯიბეში, ხალხი ბრაზდებოდა იმაზედაც, რომ სახლში ასანთები სანთელსაც უნდა დაედვის ხარჯი, შანდლებს, თუთუნს და ბურნუთსაც-კიო. ყველა ამის ბრალს სდებდენ იმ დროის ქალაქის ახალს გამგეობას

და ნამდვილ და პირდაპირ მათს უსამართლო მოქრთამე მოხელეებს.

გაჩნდენ ისეთი პირნი, რომელთაც ამ ხარჯთა მომატების შესახებ ხალხში ხმა-მაღლა ლაპარაკიც დაიწყეს. ნელ-ნელა ლაპარაკმა ისეთი მიმართვა მიიღო, ისეთი ხასიათი, რომ ხუმრობა აღარ შეიძლებოდ; მან ფესვი გაიდგა ყველა ხელობის ამქრის ხალხში და ყველგან თამამად საუბრობდენ, უფრო ღარიბი ხელოსნები, დღიური მომუშავენი. საქმე ისე მოეწყო, რომ თვით ამქრის თავი კაცებიც აიყოლია, ამათაც მიაქციეს ამ გარემოებას ყურადღება. ხარჯის მომატება, სიძვირე და შიმშილი არც მათთვის იყო სანუკვარი. მალე ამავე ლაპარაკმა აიყოლია თვით ამქრის უსტაბაშები და მათი ხელქვეითი საამქრო გამგენიც. როცა ესენიც შეუერთდენ ღარიბ-ღატაკ დღიურ ხელოსანთ და ამქრის თავ-კაცების ბჭობას, მაშინ-კი საქმემ სხვანაირი შედეგი მიიღო.

საიდან მიეცეს იმოდენა ხარჯი. თქვენი მტერი, რაც ჩვენ მოგვივა, სულ წყალში ჩასაყრელნი გავხდებითო. ვინც-კი ასეთ რამეს იტყოდა, იმას მეორე და მესამე უფრო აზვიადებდა, თავის მხრით უფრო ერთი ათად უმატებდა მომავლის ხარჯთ მომატების საქმეებს და მით უფრო მატებდა დარდზედ დარდს საწყალ ხალხს. ასეთი გარემოება ხალხისა ნელ-ნელა მკაცრ მიმართვის იღებდა, მოლაპმრაკეთა შორის რამდენრამდენიმე კაცი ერთად იყრიდა თავს და ლაპარაკს მართავდენ, მერე ასეთ პატარ-პატარა წრეები რამდენ რამდენიმე კაცისა სხვადასხვა ნაირად ჯგუფდებოდა, შემდეგ და შემდეგ საქმის საგანმა მათში უკვე გააჩინა სხვადასხვა მუშათა ჯგუფნი და მათში ამ

დაჯგუფებამ უფრო განაცხოველა საქმის შესახებ ლაპარაკი.

ასე დაჯგუფებამ და ხშირმა ლაპარაკმა მათში გაარკვია მცირედ თავისებური გზა-კვალიც, ეს გარკვეული გზა-კვალი თფილისელებისათვის დაფარული კი არ იყო, ყველა ხედავდა ასეთ ჯგუფთა შეერთების საქმეს, მათ ლაპარაკს და თვითონაც უადვილესად უერთდებოდენ ამ ჯგუფებს და ყაყანს, რათა მით უფრო მეტი ძალა მიეცათ თავიანთ მომავლის დიდის ხარჯებისაგან თავის დაღწევის და საქმის მოგვარებისათვის. ეს გარემოება თვილისში 1864 წ. ისე გავრცელდა, ისე ამაღლდა და აღორძინდა ხალხთა შორის, რომ მათ აჰყვნენ არამც თუ მარტო შეძლებული ხელოსნები, ვაჭრები და მოქალაქენი, არამედ ასეთ სა'აუბრო საქმესა და ლაპარაკში თვით დედაკაცებიც იღებდენ მომაწილეობას და მასთან პატარა ყმაწვილებიც. ყველა ერთათ გროვდებოდა, ყველა ლაპარაკობდა ქალაქის თავის უსამართლობისა და ნაცვლის უდიერობაზედ. დედა კაცების წყევლას ხომ საზღვარი არა ჰქონდა. ესენი, ვინ იცის, რა სიტყვებათ და რა სახით არ სწყევლიდნენ. ყველა მაგანი ემუქრებოდა მათ და მასთან იმ პირებს და იმ ხელოსანთა და ვაჭართ უსტაბაშებსაც, ვინც მათ თანხმობას განუცხადებდა.

ასე საქმის დარიგება და ლაპარაკი ითხოვდა ფართო ადგილებს, მინდორს, სწორ ვაკეს, რათა იქ ყველა ხელობის ხალხთა ჯგუფნი ერთად შეკრებილიყვნენ და ელაპარაკნათ ქალაქის მართველობის და ნაცვლის საქმეებზედ. აი, ამიტომ უფრო მოწინავე მეთაურ, თუ ცოტად შეგნებულ კაცებმა ამოარჩიეს

სამი ადგილი, სამი კუთხე ქალაქისა: ავლაბარში— სომხების ხოჯი-ვანქის სასაფლავო, ორთაჭალისკენ სხვა ღა სხკა ბაღებსა და კრწანისის ველზედ და ვერაზედ ვერის ბაღებში და სომეხთა სასაფლავოსკენ. ზაფხულში, კვირაობით და სხვა დღესასწაულებში, აქ იკრიბებოდა ხალხი და ლაპარაკობდა თავის გაჭირვებულს ცხოვრებაზედ და მომავლის უფრო გაჭირებაზედ. ლაპარაკის დროს მათ ისე ეჭირად თავი და ისე საუბრობდენ, რომ მათ პოლიცია არ უტყობოდა, სულ არაფერი ესმოდათ ამათი. გარდა ამისა სარგებლობდენ იმითაც, რომ კვირა დღეს, თუ სადმე ვინმე ამქრის კაცის დასაფლავება იქნებოდა, იმას გაჰყვებოდა დიდძალი ხალხი. დასაფლავების შემდეგ ესენი შეერთდებოდენ, იწყებდენ ლაპარაკს თავიანთ ცხოვრების და მომავლის შესახებ საუბარს და მასთან იმასაც, თუ ამას რა უნდა ვუშველოთ და რა წამალი დავადვათო.

მეამბოხეთა კრება უკანასკნელად ხოჯივანქის სასაფლაოზედ ჰქონიათ და იქ გადაუწყვეტიათ, ეწინააღმდეგონ, და თუ საჭიროდ დაინახვენ, მაშინ მახვილაც კი აიღონ. ბოლოს დაადგენ იმ დასკვნას, რომ უსათუოდ აიკლონ იმ დროის თვილისის სამოქალაქო გამგ. ს სახლ-კარი, ქონება და მასაც სიცოცხლე მოუღონ, მოკლან უსათუოდ, ვინაიდგან მას ხედავენ უპირველეს მაზეზად ხარჯის მომატების და მისი განხორციელებისა, რასაკვირველია, მთავრობის ჯარის დახმარებით. ასევე გადაწყვიტეს თფილისის ნაცვლის მოკვლა. ერთს თუ აბრალებდენ ხარჯის მომატების ოსტატობის მოგონებას, მეორეს აბრალებდენ საწყალი ხალხის შეწუხებას, მუშების დარბევას, ქრთამების აღებას და ათასნაირ სხვა ბოროტებას.

ასეთი გადაწყვეტილება უკანასკნელის კრებისა იცოდა რამდენიმე ასმა კაცმა, უფრო რჩეულმა ოსტატებმა, ხელოსნებმა, მასთან უსტაბაშებმა, მათმა ამხანაგებმა, ამათ გარდა ბევრმაც ქალაქის ბიჭებმა, რომელთაც განხრახულ საქმეში მონაწილეობა უნდა მიეღოთ, ყველაფერი დავალება და საქმე უნდა სისრულეში მოეყვანათ. საოცარი ერთი ის არის, რომ ამ აზრებს იგინი ურთიერთ შორის ინახავდენ თითქმის ორი წლის განმავლობაში და ერთი გამცემიც კი არავინ გამოჩნდა; ეს მტკიცე ჭეშმარიტება არის, რადგანაც მართლაცა და, როცა ესენი გამოვიდენ სამოქმედო ასპარეზზე და დაიწყეს საქმიანობა, მათი განზრახვა პოლიციამ, ქალაქის გამგეობამ და მთავრობამ მხოლოდ მაშინ შეიტყეს და მხოლოდ მაშინ მიიღეს დასაწყნარებელი ზომები. ესეთი სიმტკიცე პირობისა იმ დროის ქალაქის მუშა და ხელოსან ბიჭებისაგან ერთობ საკვირველია, ძნელად, რომ მათში იმ დროს, ასში ათი გამოსულიყო წერა-კითხვის მცოდნე; იყვნენ სულ ახალგაზრდა კაცები და მასთან გაუნათლებელნი, სომეხი, ქართველი, ქართველი კათოლიკე, ოსნი და ზოგიც სხვანი, ყველანი ერთად არეულნი და ერთად ამხედრებულნი.

ამათ ამხედრებას რომ მეთაურნი ყოლიათ და მათ უმზადებიათ ამის ნიადაგი, ამას ეჭვი არ უნდა; ეს არ ყოფილა ისე უცაბედათ ხალხის მღელვარების წარმოშობილი, მას ქონია ნიადაგი და ამ ნიადაგს თავის მწარმოებელნიც ხვევიან გარს, რომელთაც არ დაუზოგნიათ ყოველნაირი ცდა და შრომა აღნიშნული განზრახვის შესრულებაში. ამას თვით იმ დროის 1865 წ. ოფიციალური ცნობაც ასაბუთებს, ასე, მაგალითად, „რესკრიპტში“, რომელიც ებოძა იმავ

1865 წ., ამბოხების დღეებში, იმ დროის კავკასიის მთავარ-მართებლის ხელქვეით გენერალს, პოეტ გრიგოლ ორბელიანს, ხელმწიფე იმპერატორისა და კავკასიის მთავარ-მართებლისაგან პეტერბურგით, მოწმობს, რომ: — „ჩაგონებით ბოროტ-გამძრახველთა პირთა, შეუგნებელის ხალხის ყრილობას მოუხდენია უწესობა. ეს უწესობა ვისიც ბრალია, იმათი გამოჩენა საქმიანობითა და სხვანიც ასეთი ცნობანი რესკრიპტისა, ცხადი საქმეა, რომ ასეთ ამბოხებას მარტო ხალხი ვერას გზით ვერ მოახერხებდა, რომ მათ წამქეზებელნი არა ჰყოლოდათ. ესევე რესკრიპტი მოწმობს და ბრალსა სდებს იმ დროის საამქრო წესწყობილების მეთაურთ, გამგეთ და ამბობს, რომ „მე როგორც ვხედამ, სამწუხაროდ ჩემდა, სალახის ამქრები, რომელთაც მმართველობა იფარავს იმ დარწმუმებით, რომ ისინი განსაკუთრებით ზრუნავენ თავის მოძმეთათვის და შეეწევიან მართებულებას საჭირო შემთხვევაში დასხცველად რიგისა და კეთილ, წესიერებისა, არა თუ არ შეერთდენ ამ შემთხვევაში-რომ არ მიეშვათ, ან მაშინვე მოეწყვიტათ დაწყებული უწესოება, არამედ, ამის წინააღმდეგ, თავიანთ ნებით დაკეტეს ყველამ დუქნები და დაყენებითა სრულიად ქალაქის ვაჭრობისა, უფრო გაადიდეს უწესობა“.

აქედან სჩანს, რომ 1865 წ. ამბოხებაში ამქრის მართველთაც ქონიათ მონაწილეობა მიღებული. ეს ცხადია და ამათ სამზადისის ისტორია ფართოს ცნობებით არის სავსე, რაც საინტერესოა თვით საამქრო ისტორიისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი ცნობა ჩვენ არა გვაქვს ვიცით მხოლოდ ის, რაც ზემოდ ვსთქვით და რასაც ქვემოთაც მოვიყვანთ, ესევე

რესკრიპტი ბრალს სდებს იმ დროის ქალაქის გამგეობასაც, რატომ არ იზრუნა მან ამ საქმის შესახებ და რატომ არ არწმუნებდენ ქალაქის ხალხს ამბოხების უსაფუძვლობაშიო.

ასე თუ ისე, ყოველ შემთხვევაში, იმ დროის დაძინებულმა მუშა და ხელოსანმა ხალხმა თვალი გაახილა, მათ შეკრეს პიროობა, დადეს ფიცი და ერთ დანიშნულ დღისთვის შეუდგენ კიდეც საქმის მოგვარებას. უკანასკნელმა კრებამ და სჯამ გადაწყვიტა, თუ რა უნდა მოეხდინათ.

1865 წ. 27 ივნისს უნდა დევიწყოთ,—გადასწყვიტეს იმათ,—საქმის შესრულების მოყვანა და ამისთვის უნდა ვიბრძოლოთ იმ დრომდის, ვიდრე შეგვეძლება წინააღმდეგობა, რომ მის საშუალებით ეგები თავი გადავირჩინოთ მომავალის დიდის ხარჯებისაგან.

აღნიშნულ დღეს, კვლავ გადაწყვიტეს იმათ,—უნდა დაიკეტოს მთელი ქალაქის დუქნები, არ უნდა დარჩეს ღია არც მეპურის საცხობნი, ერთის სიტყვით, მთელი ქალაქის დუქნების ხსენება და მოქმედება უნდა გაქრეხ. მასთანვე უნდა გამოეცხადოს წყლის მზიდავ მეთულუხჩეებს, რომ ვიდრე ჩვენ ჩვენს აზრს არ გავიტანთ, მინამდის მათ წყალი არავის მიუტანონ.

თუ ვინმე ჩვენს ბრძანებას და პიროობას გადავარდა ვინმე მეპურე, მეხაშე, ყასაბი, მიკიტანი, ვაჭარი, ბაზაზი, მეწვრილმანე და სხვა ვინმეები თავანთ სავაჭროებს გააღებენ, იმათ, პიროობის დარღვევის და ამხანაგთა ღალატისთვინ, დავარბევთ, მოვსპობთ ყოველივე სავაჭრო საქონლით და იქნება სიცოცხელითაც მოისპოს გაბრაზებულის ხალხისაგანაო. ასეთის პიროობის შესრულებისათვის მათ დააყენეს ზედამხედველნი.

ქალაქის განაპირა გზებში დააყენეს თავიანთი ამხანაგები და შეკრეს ყველა სასოფლო გზები და სოფლიდან თფილისში მომსვლელთ და რამის შემომტანთ აღარავის უშვებდენ, მაგალითებრ, შეშის შემოტანა, ნახშირის, ხილეულობის, ერთის სიტყვით ყველაფრის. პირველის დღიდანვე ისეთი სისასტიკე გამოცხადეს, რომ ქალაქ გარეთიდან ერთი კაციც აღარ შემოსულა.

როგორც შეითქვნენ და დადეს პირობა, მართლაც 1865 წ. 27 ივნისიდან თფილის ქალაქი დაყრუვდა, მოისპო ყოველისფერი და გაქრა ყველგან მომრაობა და საქმენი. ხალხი ამბობდა, მოვსპობთ ყველაფერს და ერთი ვნახავთ ჩვენი ხარჯის მომმატებელნი და ამკრეფნი რა გვარად იცხოვრებენ და ვის რას გამოართმევენ, მაშინ დაგვაფასებენ ჩვენ და იქნება ეს წყეული ახალი ხარჯები არ გააჩინონო.

ქალაქი ისე დაყრუვდა პირველის დღიდანვე, რომ მეორე დღეს მკვდარი იყო, ბევრს ალაგას მრავალ შეძლებულ პირთაც ვერა იშოვნეს რა. ასეთ საქმეების გამძლავრებაში პირველს როლს თამაშობდენ მიკიტნები და მათ შემდეგ სხვა და სხვა ხელოსნები და გაჭრები, ერთის სიტყით ყველანი, მთელი თფილისის საწყალი და არა საწყალი ხალხიც. როგორც არის ცნობილი, პირველ დღიდანვე ხელოსანთა უსტაბაშებიც იღებდნენ ამბოხებაში დიდს მონაწილეობას. ამიტომ ამ დღეს, 27 ივნისს, საღამოს, ყველა უსტაბაშები დააპატიმრეს პოლიციაში და მეორე დღეს ამათის დაპატიმრებით ელოდნენ ხალხის დამშვიდებას, მაგრამ ამაოდ.

წინა ხანებსა და ამბოხების დაწყების დროსაც დიდი გამბედაობა გამოიჩინეს შემდეგმა პირებმა-

ზიხრუა მიკიტანმა ორატორმა, იმ დროს თურმე კარგად ცნობილმა და სახელგანთქმულმა ქ ლაქის მიკიტნებსა და ხალხში, უკანასკნელად ეს დააპატიმრეს და იმავ 1865 წელს ციმბირს გაგზავნეს.

მინასა კრუაშვილი, მიკიტნების უსტაბაში და ერთგული მოლაპარაკე, გაგზავნილ იქმნა ციმბირს, მერე მოვიდა, თფილისში მოკვდა.

იოსებ დამბულაჩოვი თებელი. ეს იყო დიდი მოკრივე და თავის დროს გამოჩენილი, ამასთანავე, ვიტყვი მისივე ამხანაგების სიტყვით, რომ იგი იყო თურმე დიდი „ბუნტოვჩიკი“. ის თურმე გუბერნატორსაც შეება ლაპარაკში, მერე დააპატიმრეს და დაშარტული წაიყვანეს, ესეც გაგზავნეს ციმბირს. მერე მოვიდა, აქ მოკვდა.

აჯექსა საბაშვილი, სილნაღელი სირაჯი, ორატორი, მოურიდებელი ვაჟკაცი, წოდებული იმ დროს ბელადად. ცნობილი ყოფილა და სახელგანთქმული მოლაპარაკე ხალხსა და ამქარში. გაგზანეს ციმბირს. ყოფილა მეტად ზორბა ვაჟკაცი.

სიხიკო დინდიაშვილი, ქართველი ფრანგი, ერთგული თავის ამხანაგებისა, კარგი მოლაპარაკე, ცნობილი კარგად ხალხში.

ჯანდარ ეაზარა, გაბედული და ჯანყების პირველი მოსაქმე და აჯანყებულთა პირველი წინამძღოლი. გაბედული კაცი, იყო დაპატიმებული, მოკვდა პატიმრობაში.

მიხე ჯოლოტაშვილი, მიკიტანი, ცნობილი პირი თავის დროის მიკიტნებში; ხალხიც მრავლად იცნობდა მას, მისის ამხანაგის სიტყვით; — იყო ისეთი კაცი,

რომ თავ ამშლელად იგი ითვლებოდაო. გაგზავნეს ციმბირსა, მოვიდა, მოკვდა თფილისში.

დიდირ-ძე კუკიელი. დილირსძე მეტი სახელია თურმე; ყოფილა მოწინავე პირი და უმეცადინია კუკიაში დიდათ, იყო თურმე მოწინავე პირი აშლის და ლაპარაკისა; გაგზავნეს ციმბირს.

გიორგი ბადდასაროვი, ხელობით ყასაბი, თავდადებული აჯანყებისთვის; გაგზავნეს ციმბირს, მერე მოვიდა 1900 წ. 80 წლისა. ამას მეტ სახელს „სეკრეტარს, უწოდებდნენ.

ალექსი ვერდუშკაშვილი, მილიციაში ნამსახური, ქონდა ჯვარიც, იყო გამბედავი კაცი და თავიანთ საქმისთვის თავ-დადებული, მოკლეს ამ ამბვის დროს და მრავალიც სხვანი, ყველას ცნობები არ გვაქვს. ზოვნი გაგზავნილები, ზოგნი დაკარგულნი, ზოგნი დახოცილნი.

27 ივნისი დაღამდა დიდის დავიდარაბით. ამ ღამეს ყველა სახლებში ლაპარაკი და თათბირია, ასევე მრავალს ალაგს საღამომდის კრებები მოხდა და ისაუბრეს მეორე დღის განწყობისათვის. ამ ღამეს მთელი ქალაქის მოქალაქობაც ფეხზედ სდგას, ამა ღამეს პირობა დადეს, რომ ხვალ უსტაბაშების გათავისუფლება ვითხოოთო. გათენდა მეორე დღე, 28 ივნისი; მთელი ქალაქის დუქნები დაკეტილია, არსად წყალი, არსად პური, არაფერი მოიპოვება, ყოველივე მოსპობილია, თვით ფაიტონებიც აღარ დადის, მთელი ქალაქის მუშა და ხელოსანი ხალხი ფეხზედ სდგას ითხოვენ პოლიცმეისტრის გამგეობის წინ ხმამაღლა, რომ უსტამუშები გაათავისუფლეთო.

შეიტყეს, რომ უსტაბაშებს არ გაათავისუფლებენ იმ დროამდე, ვიდრე იგინი თანხმობის ქალალდხელს არ მოაწერენო. ის ხმებიც შეიტანეს ჯაშუშებმა, რომ უსტაბაშებს სხვები ამაგრებენო, მაგალითებრ თფილისის მოქალაქენიო. ამიტომ დააპატიმრეს: სოლომონ და არტემ ბაისოლოლოვები, ივანე ფორაქოვი, არტემ და დანიელ იზმიროვები, სოლომონ შაბუროვი და სხვანი, ვითომც ესენი ამაგრებდენ და ერივნენ უსტაბაშების საქმეში. ესენი დაწყნარების დღეს დააპატიმრეს, მალე გამოუშვეს ისევ.

რაკი უსტაბაშებს არ უშვებდენ, ამაზედ ხალხი გაბრაზდა და ერთხმად შეითქვნენ უთუოდ გაანთავისუფლონ და ის ამოდენა ხალხი დაიძრა კუკიისაკენ, ჩაიარეს იარმუკა, გავიდნენ ხიდს, გაიარეს ვორონცოვის ძეგლისაკენ და შეუხვიეს კვირაცხოვლის ძირს, დიდს ქუჩაზედ, სადაც იმ დროს, ქალაქის ხარჯის მკრეფავს ბაჟბეუქოვს სახლი ჰქონდა და სადაც სცხოვრობდა იგი. ესევე იყო ხომ ნაცვალიც. ა"ის სახლთან მივიდა ამოდენა ხალხი და განიზრახეს მისი ნახვა; თებელ იოსებამ ხალხს დაუყვირა:

—რას დგეხართ, უნდა ავიდეთ და ვიპოვნოთ, უნდა მოვკლათ ის აძაღლებული ხალხის მტანჯავმცარცველი!..

ამ დროს სახლის ბალკონზედ გამოვიდა სომხის მღვდელი და უთხრა ხალხს:

—დღევანდელი ჩემი შეწირული ბარძიმის მადლმა, რომ ბაჟბეუქოვი სახლში არ არის.

ხალხმა მაინც არ ქმნა და თებელ იოსებამ ასვლა დაიყვირა. მალე გატეხეს კარები და ავიდნენ სახლში.

ბაჟბეუქოვის საკუთარ სახლში პირველად ფეხი ფრანგმას სოსიკომ შედგა, მილიციაში ნამსახურმა და ჯვარის მქონე ალექსა ვერდუშკაშვილმა, იოსებ საბაშვილმა და ამათ მიჰყვნენ სხვანიც. ესენი მალე ავიდნენ მეორე სართულში, მაგრამ იქ ველარავინ ნახეს. მერე აქიდამ ბანზე ავიდნენ. წინ წავადა ჯვრიანი ალექსა ვერდუშკაშვილი, ბაჟბეუქოვი ბანზე ასულიყო და იქ დამალულიყო კარებს უკან. პირველად ბანზე ასულს ალექსას ბაჟბეუქოვმა ხანჯალი ჩასცა და ფაშვები გადმოაყრევინა. ეს ამით მოკვდა. იქვე უკბათ მკვლელს ხანჯალი წაართვეს ხელოდამ; ყასაბ გიორგი ბალდასაროვმა ძალიან დაბეგვა და მერე ცოცხალ-მკვდარი ბანიდან აიყვანეს გიორგიმ და ალექსი საბაშვილმა ბაჟბეუქოვი ძირს გადმოაგდეს. აქ მომაკვდავს ბაჟბეუქოვს დაუწყეს ლანძღვა-გინება საწყალი ხალხის აკლეპის, დარბევის, ქრთამების აღების და ხარჯის მომატებისთვის; მერე მას ცხენის „დუმა“ დაარტყა ხალათოვმა და ამით მოკვდა იგი.

მოკლეს ეს კაცი და იჯერეს გული. მის შემდეგ ეს ამოდენა ხალხი, უკნასკნელი 40 ათასი კაცი, გამოემგზავრა ხიდისკენ, გაიარეს იარმუკის გზით; ხალხს გზაში დახვდა ყაზახი ვასილა და გაჩერებას სთხოვდა, მაგრამ ვერა გააწყო რა. ამ დროს ამან თოფი ესროლა და ერთი დურგალი მოკლა. ხალხიდან ეს ყაზახ ვასილა წინამძღოლობდა ხალხის წინაალმდეგ ცხენოსან ყაზახებს. იმის თოფის მეორე ტყვიამ იარმუკის აფთიაქში გაიარა და იქ პროვიზო-

რიც დასჭრა. ეს პრავიზორიც მოკვდა ამ დაჭრით. ვასილა ყაზახი ცნობილი ყოფილა როგორც დესპოტი. ამას დაუყვირნია:

—დაბრუნდით უკან, თორემ ცუდათ იქნება თქვენი საქმე.

ხალხს უყვირნია;

—გვატყუილებ, ვნახამთ, რაც იქნება და ან შენ რა მოგეცემა, შე ხალხის მტანჯველო!..

ვასილა გაცეცხლდა თურმე და იმიტომ ისროლა თოფი. ეს მოხდა ალექსანდრეს ბაღის გვერდით, იარმუკის შესახვევ გზაში. იქვე ახლოს იდგა იმ დროის მთავარმართებლის თანაშემწე, პოეტი გრიგოლ ორბელიანი. ამან რა ნახა ვასილის საქციელი, მაშინათვე დააჭერინა და ციხეში გაგზავნა, თან დაუყვირა თურმე:

—შენ ვინ მოგცა ნება, შე შეჩვენებულო, რომ თოფი იხმარო? აქ, ამ დროს, გრიგოლ ორბელიანი ცხენზე იჯდაო. ეს დაინახა აჯანყების მეთაურმა, მეთევზე ლოპიანამ და გრიგოლ ორბელიანს მიმართა:

—კნიაზო, ერთი ძირს ჩამოგბძანდით ცხენიდამ და ერთი თქვენის ხელით უთავაზეთ ამ ბოროტ ვასილასაო.

გრიგოლ ორბელიანმა იხმარა დიდი შნო, ხალხს დარიგება დაუწყო და სთხოვდა დაწყნარებას, მშვიდობას და 29 ივნის დუქნების დაღებას. დამშვიდდით და ყველაფერს შეგისრულებთო.

პოეტმა დიდი უნარი გამოიჩინა; ამის დაპირება ბევრმა ირწმუნა, მაგრამ მაინც შემთქმელთა და მეთაურთა თავიანთი განზრახვა განაგრძეს, სოლოლა-

კისაკენ გასწიეს, მაშინდ ლის ქალაქის თავის შერმაზან ვართანოვის სახლისაკენ; რომელი სახლიც დღესაც არის. ეს სახლი გახლავთ განოვის ქუჩაზედ, აბას-აბასის ვიწრო ქუჩა რომ ჩაუხვევს; დღეს ეს სახლი შეკეთებული. ეს ძველი სახლი გადაკეთებულია 1796 წ. იგი ეკუთვნოდათ მაშინ თბილისი-ვაჭრებს ხოჯამინასოვებს; მათ ვაჭრობის გამო, მეფე ერეკლესგან თურმე მიიღეს თავიდიშვილობა 1797 წ. უკანასკნელ დროს-კი ეს სახლი ეკუთვნოდა ქალაქის თავს შერმაზან ვართანოვს. ეს ამოდენა ხალხი ამ სახლთან მივიდა შუადღის შემდეგ სამ საათზე.

ამ დღეს ქალაქის თავს სტუმრები ჰყოლოდა სადილად. მასთან ასულა ივან ადამიჩ ფორაქაშვილი და უთქვამს:

ბაჟბეუქოვი მოკლეს, არიქა ჩქარა, თავს უშველე, თორმე შენც მოგკლავენო.

ვართანოვი მაშინათვე გაქცეულა სხვაგან და დამალულა. ივანე ფორაქაშვილი გამოვიდა ბალკონზედ და ხალხს დაუყვირა:

—ღმერთი, რჯული, რომ თითონ აქ არ არის, თუ ჩემი სიტყვა არა გჯერათ, ამოდით და ნახეთო.

ხალხმა დაუწყო ყვირილი:

—კარები ნუ ჩაკეტეთ, გაახლეთ, ეხლავ ამოვალთ და მოვსძებნით, ვნახ მთ, თუ მანდ არ არის.

მალე კარები გააღეს; წინ მეამბოხე პოხრუა წავიდა, ავიდნენ ესენი სახლში, დარბაზში სტოლი, სუფრაა გაშლილი. ის იყო თურმე სადილზე დამსხვდარიყვნენ და იმ დროს მოვიდა ხალხი. სახლში ველარ ავინ ნახეს: სტუმრები თუ მოსამსახურენი სულ

მიმალულიყვნენ. მალე მთელი სახლი გაივსო აჯანყებულებით. სახლში შესვლის შემდეგ მალე ეცნენ სახლის ნივთეულებას და ფანჯრებიდან დაუწყეს კარში სროლა. რადგანაც ნივთების სასროლად ფანჯრები პატარა იყო, ამიტომ ჯერეთ ფანჯრები და კარები დაამტვრიეს სულა, მერ დაიწყეს სახლის აკლება და ნივთების ქუჩაში გადმოყრა.

აი ამ სახლის აკლება როგორ მოხდა:

ოთხსავ კუთხივ ქუჩები ხალხით იყო სავსე, უკანასკნელი 20 ათასი კაცზე მეტი იქნებოდა.

სახლიდან ისროდნენ ყოველნაირ ბარგს, ტანთსაცმელს, ლოგინს, ხალებს, ფარდაგებს, მებელს; ზოგი ნელა ჩამოჰქონდათ და ყველა ამას ქუჩაში ჰყრიდენ და ვისაც რა სუდა, ის მიჰქონდა; ამ აკლებაში დედაკაცებიც-კი იღებდნენ მონაწილეობას; ვისაც რა შეხვდებოდა, ის იმას სტაცებდა ხელს, მირბოდა სახლისკენ და მიჰქონდა ნივთები.

გადმოყარეს ახლად გამომცხვარი თონის პური, ტომრებით ხილი, ერთი პარკი ფისტაშკა, რამდენი სხვა რამე, ერთის სიტყვით მთელი სახლის ავეჯეულობა ისე აიკლეს, რომ შიგ არაფერი დასტოვეს, ზოგი დაამტვრიეს და რაც არა, ის სულ ხალხმა წაიყო, მერე სახლისთვის ცეცხლი უნდა წაეიკიდებინათ, მაგრამ ეს არ ჰქნეს, ვაი თუ სხვისი სახლებიც დაიწოსო, ამიტომ მოიტანეს წერაქვები, ლომები, ხელეჩოები და სახლის კარები, ფანჯრები და ბალკონი სულ დაამტვრიეს, აიკლეს ისე, რომ სახლს ალარა შეარჩინეს რა.

როცა ხალხმა გული იჯერა, მერე გამოიტანეს

ერთი გძელი ჯოხი, თუ ურმის შეშა, ზედ ჩამოჰკიდეს შერმაზან ვართანოვის ცოლის ნიფხავ-პირანგი, ეს ჯოხი მისცეს ხელში ერთ მეამბოხეთაგანს, გასწია ამ სარდალმა სოლოლაკის სხვა ქუჩებისკენ, ამას გაჰყვა მთლად იქ მდგომი ხალხი; სოლოლაკის არისტოკრატ მცხოვრებთ სახლების წინ ქუჩებზედ დადიოდნენ და თან ყვიროდნენ ვართანოვის კიცხვას, ბაჟბეუქოვის და სხვა ასეთებისას, თან ყვიროდნენ:

—ვინც ჩვენი მტერია, მდიდრებო, გაიგონეთ, ჩვენც იმას აი ასე დავარბევთ, ასე ავიკლებთ, ამას არ ვაკმარებთ და მოვკლავთ კიდევაც, გესმოდეთ, გაიგონეთ!!.

ასეთი მუქარებით წინ მიუძღოდენ მეთაურები. პოხრუამ თავზედ ვართანოვის მაღალი ცილინდრი დაიხურა და სოლოლაკის მცხოვრებთ, ბალკონზედ მდგომ კაცებს და ქალებს უყვიროდენ:

----აი ასე ავიკლებთ, ასე ვატარებთ იმათ ცოლის საცვლებს და იმათ ქუდებსაც, ვინც ჩვენ გვიმტრობს, ვინც საწყალი ხალხის დაღუპვას მოინდომებს, გვეყო, გვეყო, ამდენი ვაი-ვაგლახი, ქრთამების გამორთმევა, წართმევა, ცემა, ტყეპა და სხვანი.

აგერ სალამომაც მოატანა და ხალხი დაიშალა. იმ ღამეს მთელი თლილისის ქუჩები დაყრუებული იყო, არსად კაცი, არსად ჩამი-ჩუმი, ერთის სიტყვით თფილისი ბნელეთს წარმოადგენდა. სახლის აკლების დროს არც პოლიციის კაცნი გაჩნიდენ, არც ყაზახები, არც სალდათები. სჩანს, მთავარ-მმართველის თანაშემწემ, პოეტ გრიგოლ ორბელიანმა, იცოდა ხალხის გაზრახვა, იცოდა მოთავე პირთა საქმენი და

მიტომ არ ჩაურია ამ საქმეში ჯარის-კაცნი. ესეც ერთი შნო იყო პოლიტიკისა,

გათენდა მესამე დღე, 29 ივნისი 1865 წ. ამ დღეზ პეტრე-პავლობა იყო—ქართველების უქმე. ქართველებს ექვსი კვირის შემდეგ გაუხსნილდათ. ხორცს ვიღა ჩივოდა, პური არსად იყო. საბურთალოზედ ვერელებს დაეკლათ რამოდენიმე ძროხა, მამაჩემმა იქიდამ მოიტანა ჩუმად ხორცი. მერე ვიღაც კაცები მოვიდნენ და მამაჩემს ჰკითხეს:

—ხორცი საიდამ მოიტანე, სად იყიდე, გვითხარი ჩქარაო. მე პატარა ვიყავ და ეს სიტყვები გავაგონე, თან მემეშინდა, მამაჩემმა პასუხი მისცა, ისინი წავიდნენ მამაჩემმა უბნას დედაკაცებს უთხრა:

—ესენი მოამბოხენი არიან, მე არ ვუთხარ სწორედ, იქ ეხლა აღარც კი სადმე რამე იქნებაო.

თფილისის ამბოხების ამბავი, ანუ ბუნტის ცნობა, საქართველოში ყველგან შეეტყოთ მალე. ამიტომაც მოხდა, რომ თფილისში უცბათ ჩამოვიდნენ მთის ზალხი და ნამეტურ თუშ, ფშავ-ბევსურნი, ათი ათაზედ მეტი კაცი, თავიანთ ცხენებით, სულ სახედრო იარაღში ჩამოხდარნი, ესენი დაბანაკდნენ ავლაბარში, ხოჯი ვანქის გასწვრივ, სადაც წინეთ კაცებს ახრჩობდენ ხოლმე. აქ ესენი დროს ატარებდენ, ჯირითობდენ, ბურთავოდენ და თან ემზადებოდნენ აჯანყებისათვის.

ეს ამბები მალე შეიტყო იმ დროის თფილისის შ. ფ ჟანდარმის გენერალმა მინკვიცმა. ამ გენერალმა

ისიც კარგათ იცოდა, რომ თფილისის ხალხი აჯანყდა და იბრძვის მეტის გაჭირებისა და სიძვირისაგან, აჯანყებულები სიძვირის წინამდგომნი არიან, რაც ქალაქის გამგეობის ბრალია და არა რუსეთის მთავრობისაო. ხალხს მთავრობის წინაღმდეგ არასფერი აქვსო.

ამიტომაც ეს გენერალი აღე წავიდა კავკასიის მთავარ მართებლის თანაშეკრებს პოეტს გრიგოლ ორბელიანთან და ყოველისფერი მოახსენა. პოეტმა აუწყა, რომ ეგ ამბები მეც ვიცი, მაგრამ შტაბის უფროს და რუსის გენერლებს ეს არ სჯერათ და იგინი თფილისის ხალხზედ ჯარის მისევის და სროლის აპირებენო. ამ დროს, აქვს იყო თურმე შემთხვევით ჩამოსული დაღისტნის სამხედრო გუბერნატორი ნიკო ჭავჭავაძე. ამათ წინაშე გენერალ მინკვიცი მარდათ დატრიალდა, პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა და ნიკო ჭავჭავაძემ მოიალაპარაკეს, მერე ესენი ცხენებზედ შესხდნენ და ავლაბრისკენ წავიდნენ, იქ სადაც ხალხი იყო შეკრებილი. ამათვე გაჰყვა უკან გენერალ მინკვიციც.

ესენი მალე მიიღნენ დანიშნულს ალაგას, მისვლისათანავე ამათ ხალხს ქართულათ შესძახეს გამარჯობათ თქვენი ძმებო და შვილებო. ხალხს დიდათ გაუხარდათ და ამათ ერთ ხმათ შესძახეს ღმერთმა გადღეგრძელოთ და გაცოცხლოთ, რომ ჩვენი გაჭირების დღეს, აქ მოგბრძანდით.

ესენი ცხენებიდამ მალე ჩამოხტნენ. ნიკო ჭავჭავაზემ ბუნტის თავ კაცებს ლაპარაკი დაუწყო. თავმა კაცებმაც ყველივერი უამბეს.

აქ მალე მოიტანეს ჯვარი და სახარება, მერე ნიკო ჭავჭავაძემ ხალხს მიმართა ასე:

თქვენ ოღონთ დაწყნარდით, ხვალიდამ დუქნები გააღენ და მუშავობა დაიწყეთ, აი ჩვენ გაძლევთ პატოსანს სიტყვას, ფიცით ამ ჯვარსა და სახარებაზედ, რომ თქვენ ქალაქის გამგეობისაგან არც გადასახადი მოგემატებათ და საქმლის, სასმლის სიძვირეც მოისპობა, ჩვენ ეხლავ ნიხრს-ტაქციას დავადგენთ ისე, როგორც წინეთ იყო და ვინც ამას დაარღვევს, იმას ჩვენ უსათუოთ დავხვრეტივთ, ან დავახრჩობთ.

ხალხმა შეისმინა ნიკო ჭავჭავაძის სიტყვა და მალე დამშვიდნენ. მერე ხალხმა მიმართა ნიკო ჭავჭავაძეს ასე:

კნიაზო მადლობელი ვართ, რომ ჩვენი გაჭირების დროს აქ მობძანდით და დარიგება მოგვეცით, ღმერთმა გაცოცხლოთ კნიაზო. გვიშველეთ თორემ საწყალი ხალხი სიძვირის და დიდი გადასახადისაგან სულ მოისპობა, ჩვენ გვჯერა თქვენი დაბირება, თქვენს სიტყავ და დავლებას შევასრულებთ ხვალიდგანვე, მხოლოთ გთხოვთ, რომ ჩვენი უსტაბაშებიც გაანთავისუფლოთ რომელ ნიც დაჭერილები არიან.

პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა სიტყვა მისცა ასე: ისინი სალამოს სულ განთავისუფლებულნი იქმნებიან.

ხალხმა ამაზედ მადლობა გადუხადა, ეს მადლობა გენერალ მინკვიცმა შეიტყო თუ არა მან ხმა მაღლა „ვურას“ ძახილი მორთა, ხალხმაც დაიყვირეს „ვურა“ ასე და ამ გვარით დამოშმინეს ხალხი, ამ დროს სალამოც მოტანებელი იყო, ამიტომ პოეტმა გრიგოლ ორბელიანი და ნიკო ჭავჭავაძე სახლისკენ წამოვიდნენ და მალე ხალხმაც იწყო დაშალა. მთელს თფილისში მალე მოიფინა ხმები, რომ ხალხს მთავარ საჩოებელი და ნიკო ჭავჭავაძე მოუროგდნენ, ჯვარსა და სახარებაზედ ფიცი დასდას, რომ ხალხს არც გა-

დასახად მიჩემატებით და სძვირეც მოისპობა, და-
ჭერილ უსტაბაშებსაც გაანთავისუფლებენო. ამ ამბე-
ბით მთელი თფილისის ხალხი დამშვიდდა, საღამოს
უსტაბაშებიც გაანთავისუფლას.

მეორე დღეს, თფილისი გაცოცხლდა, მუშებმა
და ხელოსნება მუშაობა დაიწყეს, ვაჭრებმაც დუქ-
ნები გააღეს და ვაჭრობა ძველი ფასებით დაიწყეს.
არსფერს საქონელს ფასი არ მოუმატეს, ამავ დღეს
ამათი სავაჭრო ტაქტიკა, ანუ ნიჭრიც გამოიცა. ასე
და ამ გვარათ დამშვიდდა თფილისის ხალხი და ამის
წყალობით თფილისის ხალხს თავიდამ ასცდა სისხლის
ღვრა და ხოკვა-ჟლეტა და სახლ-კარის დანგრევ და-
ქცევა, რადგანაც შტაბის უფროსი გენერალი 3, ან
ან 4 ივლის თფილისზედ ზარბაზნების სროლას აპი-
რებდა, ამისთვის მათ თფილისის ქუჩებზედ ჯარიც
დააყენეს და სასროლათაც ემზადებედნენ, ეს აუცი-
ლებლად. მოხდებედა, რადგანაც შტაბის უფროსი და
რუსის ყველა გენერლები და მოხელნი სულ დამ-
შეულები იყვნენ და ამის გამო გაბრაზებულებიც იყვნენ
დიდათ.

მცირე ხანს შემდეგ, მთავარ მართველის ხელ-
ქვეითს პოეტს გრიგოლ ორბელიანს უმაღლესის
მთავრობისაგან დიდი მდლობის რესკრიპტი მოუვიდა,
რითაც მას მადლობას უცხადებდენ, რომ თქვენ ძრიელ
კეთილათ გიმოქმედნიათ რომ ხალხი დაგიწყნარებიათ
და სისხლი არ დაღვრილაო. ეს რესკრიპტი მაშინათვე
რუსულათ და ქართულათაც დაბეჭდეს და ხალხშ
გაავცელეს.

მცირე ხანს შემდეგ ამ აჯანყების გამოძიება და-
აწყო, დამნაშავეთ ცნობილ პირები დასაჯეს.